ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 5

ქ. ონი 19. 05. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, სონია გუგეშაშვილი, გივი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, თეიმურაზ ცეცაძე, ნოდარ ბურდილაძე.

არ ესწრებოდნენ: შუქურა ჯაფარიძე, ვასილ მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ირინა გობეჯიშვილი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი,

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა განყოფილების უფროსი/

2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

3. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში ჩაჩაშვილის ქუჩა N99-ში (ს/კ 88.18.28.0740, მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის (ს/კ 239403463) გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

5. ონის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაბინძურების შესახებ

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე - კომისიის თავმჯდომარე/

6. საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეკა მაისურაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბურდილაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შეუსრულებელია ბიუჯეტის თითქმის ყველა მუხლი. თუ დაგეგმვაშია შეცდომა, რატომ დაიგეგმა არასწორად და თუ სწორადაა დაგეგმილი, რატომ არის შესრულების ასეთი დაბალი მაჩვენებელი? მუნიციპალიტეტს აქვს აუთვისებელი თანხა, ამის გამო მკაცრად უნდა მოეთხოვოს პასუხი ყველა პასუხისმგებელ პირს. მკაცრი კონტროლი და მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო შესაბამისი სამსახურებიდან. ერთი ტენდერი ორჯერ, სამჯერ რომ ჩავარდება, ჩნდება ეჭვის საფუძველი, პასუხს არავის ვთხოვთ და ვიღებთ არასახარბიელო შედეგს. მერიის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია და საკრებულომ პასუხი უნდა მოთხოვოს მერიას ამ შეუსრულებელი ბიუჯეტის გამო.

თ. ცეცაძემ აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმის შესრულება ნულის ტოლია, მაშინ როცა შეიძლებოდა ონის გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარის გაზიფიცირება, რომ ზამთარში, სიცივეში არ მიმდინარეობდეს მღვდელმსახურება, ასევე, შეიძლებოდა თანხის გამოყოფა ლაგვანთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობისთვის.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების ასეთი დაბალი მაჩვენებელი როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. ხშირ შემთხვევაში არასათანადო კლიმატურმა პირობებმა განაპირობა შესრულების ვადების დარღვევა. საკრებულოსა და მერიის შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობაა საჭირო მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად მომავალში.

გადაწყდა: წარმოდგენილი ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე..

მოისმინეს: 2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 3. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში ჩაჩაშვილის ქუჩა N99-ში (ს/კ 88.18.28.0740, მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის (ს/კ 239403463) გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში ჩაჩაშვილის ქუჩა N99-ში (ს/კ 88.18.28.0740, მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის (ს/კ 239403463) გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალ. კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ სარგებლობს რა სათათბირო ხმა უფლებით, მართებულად არ მიაჩნია ქონების გასხვისება, რადგან მისი აზრით საკითხი სამართლებრივად გამართული არ არის, პროექტს არ ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურად იქნებოდა ასახული ქონების გასხვისების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რა სარგებლობას მოუტანს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ხომ არ გამოიწვევს ისედაც დასუსტებული მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სფეროს დასუსტებას?

თ. ცეცაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება აღნიშნულ ფაქტს.
ბ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ იდეა ძალიან კარგია და მისასალმებელია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ადგილზე მიიღებს ძალიან ბევრ სამედიცინო მომსახურებას სათანადო აპარატურით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაბინძურების შესახებ

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურების შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 6. საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეკა მაისურაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეკა მაისურაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე